

ელკანა
ELKANA

# წლიური ანგარიში 2008
# ANNUAL REPORT

გამოცემულია ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას" მიერ
Published by Biological Farming Association ELKANA

© ყველა უფლება დაცულია
სარედაქციო კოლეგია: მარიამ ჯორჯაძე, თამაზ დუნდუა, მანანა გიგაური, ზაზა კილასონია
ლიტ. კორექტურა: ნოდარ ებრალიძე
ინგლისურ ენაზე თარგმნა: ვალერი სარჯველაძე
დიზაინი და დაკაბადონება: მანანა გიგაური

© All rights reserved
Editorial Board: Mariam Jorjadze, Tamaz Dundua, Manana Gigauri
English translation: Valeri Sarjveladze
Design and make-up: Manana Gigauri

ფინანსური ხელშეწყობა
Financial support

# წლიური ანგარიში 2008
# ANNUAL REPORT

ISO 9001:2000

ხარისხის მართვის სისტემა
Quality Management System

ელკანა
ELKANA

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია Biological Farming Association

# მისიის განაცხადი

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა” არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და გარემოს დაცვას მდგრადი ბიომეურნეობების განვითარებისა და სოფლის მოსახლეობის თვითაქტივობის გაზრდის გზით.

მიგვაჩნია, რომ განვითარებული ბიომეურნეობების, როგორც სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის საუკეთესო ფორმის, დამკვიდრება სახელმწიფოში არა მარტო საღი საკვებისა და გარემოს, მომავალი თაობების სიჯანმრთელის საწინდარია, არამედ მას მზარდი ეკონომიკური პოტენციაც მოეპოვება, რომლის რეალიზაციას ხელს შეუწყობს სოფლად ძლიერი თემის ჩამოყალიბება.

ჩვენი მისიის განსახორციელებლად მჭიდროდ ვთანამშრომლობთ საზოგადოების ყველა სექტორთან. ჩვენი სამოქმედო პრინციპებია ქვეყნის ტრადიციებს მისადაგებული თანამედროვე აზროვნება, მოვლენათა მიზეზების ძიება, სოფლის მოსახლეობის აქტიური ჩართვა ქვეყნის ცხოვრებასა და განვითარებაში, ზნეობრიობა, თანამონაწილეობა სწავლასა და ქმედებაში, გარემოსდაცვითი ეთიკა და პროფესიონალიზმი.

# Mission statement

The Biological Farming Association “Elkana” is a non governmental organization, which facilitates improvement of social economic state of population of Georgia and environmental protection trough fostering development of sustainable & organic farming and increasing self reliance of the rural population.

We believe that development of sustainable & organic farms, as the best forms of agricultural practice, is not just a precondition for safe food, sound environment and healthy future generations, but it also has increasing economic potential, which could be realized through creating empowered rural population.

For the purpose of realization of our mission we closely collaborate with all sectors of our society. Our acting principles are the following - contemporary thinking adjusted to the country traditions, seeking reasons of events, active involvement of rural population in life and development of the country, morality, participatory education and action, environmental ethics and professionalism.

# შინაარსი


გამგეობის თავმჯდომარისაგან 6

დირექტორისაგან 7

სტრუქტურა 8

პროგრამული საქმიანობა 10

ფერმერის საჭიროებებზე ორიენტირებული სამრჩევლო მომსახურება 12

საქართველოში ბიოპროდუქციის ბაზრის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა 16

საქართველოს აგრარული მრავალფეროვნების აღდგენა და მდგრადი გამოყენება 18

თემის ჩამოყალიბებისა და გააქტიურების ხელშეწყობა სოფლად 20

სოფლის ტურიზმის განვითარება და ადგილობრივი ტრადიციული პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა 22

საზოგადოებისა და ხელისუფლების ცნობიერების ამაღლება მდგრადი სოფლის მეურნეობის, ტრადიციული ჯიშებისა, ბიოპროდუქციისა და სოფლის ტურიზმის შესახებ 26

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა 32

ფინანსური ანგარიში 34

მიმდინარე პროექტები 38


# Contents


6 FROM THE HEAD OF THE BOARD

7 FROM THE DIRECTOR

8 STRUCTURE

10 PROGRAM ACTIVITIES

13 Extension service oriented on farmers needs

17 Organic market promotion in Georgia

19 Conservation and sustainable utilization of Georgia`s agricultural biodiversity

21 Community mobilization and development of self-help processes in rural areas

23 Rural tourism development and valorization of local traditional food production

26 Raising of public and government awareness about sustainable farming, traditional varieties, organic products and rural tourism

33 INDEPENDENT AUDITOR`S REPORT

36 FINANCIAL STAITEMENT

38 ON-GOING PROJECTS



## გამგეობის თავმჯდომარისაგან

## FROM THE HEAD OF THE BOARD

ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია ,,ელკანამ'' მორიგი წლის საინტერესო, ნაყოფიერი, მაგრამ მძიმე სამუშაო დაასრულა. 2008 წელი, აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო, მეტად რთული აღმოჩნდა მთელი საქართველოსათვის და, ცხადია, ,,ელკანასთვისაც''.

როგორც ფერმერი და როგორც ,,ელკანას'' გამგეობის თავმჯდომარე განსაკუთრებით ვამაყობ, რომ ამ გაჭირვებაში ,,ელკანა'' მხარში ამოუდგა კონფლიქტის რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობას არა მარტო თბილისში იძულებითი ყოფნის, არამედ უკან საკუთარ სახლებში დაბრუნების შემდეგაც... აქვე უნდა ითქვას, რომ დაზარალებულ მოსახლეობას დახმარების ხელი გაუწოდეს სხვა რეგიონის ფერმერებმაც – ,,ელკანას'' წევრებმა - დმანისელმა ფერმერებმა კარტოფილი, სტაფილო, ჭარხალი და სხვა ბოსტნეული უფასოდ გადასცეს სოფელ სათემოს მოსახლეობას.

უკან დაბრუნებულ მოსახლეობას ბევრი პრობლემა დახვდა ადგილზე: გაძარცული სახლები, დაკარგული მოსავალი, მოშლილი ინფრასტრუქტურა. ,,ელკანას'' თხოვნით დონორებმა გამოყვეს გარკვეული თანხა ,,ელკანას'' წევრების დასახმარებლად. სოფლებში ჩავიდა ,,ელკანას'' სოფლის განვითარების ჯგუფი, ესაუბრნენ მოსახლეობას, გამოიკითხეს საჭიროებები და განისაზღვრა ის სფეროები, სადაც დახმარების გაწევა შესაძლებელი იყო. ,,ელკანას'' დახმარებით 2008 წლის შემოდგომაზე სოფელ ახალუბანში დაიწყო აგვისტოს ომის დროს დაზიანებული სასმელი წყლის გაყვანილობის რეაბილიტაციის სამუშაოები.

ბოლოს მინდა ვთქვა, რომ მიუხედავად სიძნელეებისა, ჩვენს ფერმერებს გული არ გასტეხია, აგრძელებენ მუშაობას და უკეთესი მომავლის იმედი აქვთ. მთავარია, მშვიდობა იყოს, და მჯერა, ,,ელკანა'' ისევ გვერდით ამოუდგება თავის წევრებს და შეძლებისდაგვარად დაეხმარება უკეთესი მომავლის აწყობაში.

The Biological farming Association "Elkana" has finished another year full of interesting, productive and at the same time difficult activities. The 2008 year, due to the known August events, has turned out to be rather hard for Georgia as a whole and for Elkana in particular.

As a farmer and Chairman of the Board of Elkana, I'm particularly proud that in such times of trouble Elkana managed to support the population residing in the conflict region not only during their enforced stay in Tbilisi but also after they returned to their homes. It is worth mentioning that farmers of other regions also lent a helping hand to the conflict-affected population. Elkana member farmers from Dmanisi region provided Satemo villagers with free potatoes, carrot, beetroot, and other vegetables.

The returned population had to face and overcome many problems on the spot: looted homes, lost harvest, ruined infrastructure. At Elkana's request, donors allocated definite funds to aid Elkana member farmers. Elkana's Rural Development Group went to villages, spoke with farmers, learned their needs and identified the areas that should and could be assisted. With the support of Elkana, in autumn 2008 started the works to rehabilitate the drinking water piping damaged as a result of the war.

In the end I'd like to say that in spite of difficulties our farmers have not given way to despair, they continue to work and hope for a better future. The main thing is peace, and I believe Elkana will always be side by side with its members and will spare no effort in assisting them to build the bright future.

თეიმურაზ ღოღობერიძე  Teimuraz Gogoberidze



# FROM THE DIRECTOR

The 2008 year has turned out to be the most dramatic for our country. The August war, while bringing painful losses and irreplaceable damages, has left the oppressive feeling of inconsolable grief and feebleness. It was unbelievable that in the 21st century, in the "heart of Europe", something like that could happen… The war forced 127 thousand people to desert their homes. The major part of them, mostly women and children, made for Tbilisi in search of a shelter… In those days, when we were making the round of kindergartens and schools being spontaneously occupied by the IDPs to do what we could to help them , all what we did before seemed to have lost any sense. Our main task then was to provide timely these people with top priorities. Bread, medicines, elementary food, baby food, goods of personal hygiene, clothes, linen – this is an incomplete list of necessities. How long will we be able to render such an aid? How many people will we be able to help? These questions we were constantly asking ourselves.

In the meantime, international aid started to enter and various humanitarian programs to be implemented. At first, we actively joined the process – we were retrieving information on where and what kind of aid the IDPs could get, and correspondingly were furnishing the information to all concerned...

At the next stage, implementation of humanitarian projects became feasible, and soon we started to ask ourselves, was the implementation of humanitarian projects in line with our activities, our mandate? The answer was simple – it was not. We ought to do our business! There are many organizations in Georgia professionally working on the matters of humanitarian aid. As for us, we had neither knowledge nor experience of such activities. We must be doing what we know and what we can! Especially, given that no other organization could cope with "our" business better than we.

Of course, it was our members who helped us to make a proper decision. We see how eager they are to cooperate with us. We, in turn, do our best to continue work with them. I'd like to specially mention that our member farmers were also among IDPs and we, of course, did what we could to help them like others. It was precisely the people who set us an example of courage and persistence when very soon they returned to their homes within the localities far from being safe and went on with their traditional farming activities.

I'm really proud today that Elkana has not changed the taken course and even made a definite progress during this dramatic year of 2008. I hope the reader will find it interesting to look through this annual report of Elkana.

# დირექტორისაგან

2008 წელი განსაკუთრებით მძიმე გამოდგა ჩვენი ქვეყნისათვის. აგვისტოს ომმა მტკივნეულ დანაკარგებსა და აუნაზღაურებელ ზარალთან ერთად, უიმედობისა და უსუსურობის დამთრგუნველი გრძნობაც დატოვა. დაუჯერებელი იყო, რომ XXI საუკუნეში "შუაგულ ევროპაში" ასეთი რამ მოხდებოდა... ომმა 127 ათას ადამიანს დაატოვებინა სახლ-კარი. მათი დიდი ნაწილი, მეტწილად ქალები და ბავშვები, თავშესაფრის ძიებაში თბილისს მოაწყდა... იმ დღეებში, როდესაც საბავშვო ბაღებსა და სკოლებში სტიქიურად შესახლებული ადამიანების დასახმარებლად დავდიოდით, თითქოს სრულიად დაკარგა აზრი იმან, რასაც მანამდე ვაკეთებდით... ჩვენს დანიშნულებად მათთვის პირველადი საჭიროების ნივთების დროულად მიწოდებას მივიჩნევდით. პური, მედიკამენტები, ელემენტარული საკვები, ბავშვთა კვება, პირადი ჰიგიენის ნივთები, ტანსაცმელი, თეთრეული – ეს პირვლადი საჭიროებების არასრული სიაა. როდემდე მოვახერხებთ ასეთი დახმარების გაწევას? რამდენ ადამიანს გავწვდებით? – ამ კითხვებს მუდმივად ვუსვამდით ჩვენს თავს!

ამასობაში საერთაშორისო დახმარებამაც არ დააყოვნა და სხვადასხვა ჰუმანიტარული პროგრამებიც გამოჩნდა. თავდაპირველად ჩვენ აქტიურად ჩავერთეთ ამ პროცესში – ვიძიებდით ინფორმაციას, თუ სად და რა სახის დახმარება შეეძლოთ მიეღოთ იძულებით გადაადგილებულ პირებს, და შესაბამისად ვაწვდიდით მათ, ვისაც ეს ინფორმაცია სჭირდებოდა...

შემდგომ ეტაპზე უკვე ჰუმანიტარული პროექტების განხორციელების შესაძლებლობებიც გაჩნდა და სწორედ მაშინ დავუსვით ჩვენს თავს შეკითხვა – რამდენად ჯდება ჰუმანიტარული პროექტების განხორციელება „ელკანას" მანდატში? პასუხი ერთმნიშვნელოვანი იყო – არ ჯდება, ჩვენ ჩვენი საქმე უნდა ვაკეთოთ! საქართველოში ბევრია ისეთი ორგანიზაცია, რომელიც ჰუმანიტარული დახმარების პროფილით მუშაობს. ჩვენ კი ამ საკითხში არც შესაბამისი ცოდნა გვაქვს და არც გამოცდილება გაგვაჩნია. ჩვენ ის უნდა ვაკეთოთ, რისიც ცოდნა და გამოცდილება არ გვაკლია, მით უმეტეს, რომ "ჩვენი" საქმის შემსრულებელი სხვა არავინაა!

რა თქმა უნდა, ამ გადაწყვეტილების მიღებაში ისევ ჩვენი წევრები დაგვეხმარნენ – მათგან არ განელებულა ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი და, შესაბამისად, ჩვენც ვაგრძელებთ მათთან მუშაობას. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო, რომ დაზარალებულთა შორის ჩვენი წევრებიც იყვნენ და, რა თქმა უნდა, მათაც, ისევე როგორც სხვებს, შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდით. სწორედ მათ მოგვცეს სულიერი სიმტკიცისა და შეუპოვრობის მაგალითი, როდესაც ძალიან მალე თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ არცთუ უსაფრთხო ადგილებზე და ჩვეული სამეურნეო საქმიანობა გააგრძელეს!

მე დღეს ნამდვილად მეამაყება, რომ „ელკანამ" აღებული კურსიდან არ გადაუხვია და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია ამ ავბედითი 2008 წლის განმავლობაში. იმედი მაქვს, რომ „ელკანას" წლიური ანგარიშის გაცნობა მკითხველისათვის საინტერესო იქნება!

Mariam Jorjadze  მარიამ ჯორჯაძე

# სტრუქტურა

# STRUCTURE




### ხელმძღვანელობა:

მარიამ ჯორჯაძე - დირექტორი
თამაზ დუნდუა - პროგრამის მენეჯერი

### Top Managers

Mariam Jorjadze - Director
Tamaz Dundua - Program Mananger

### გამგეობა:

თეიმურაზ ღოღობერიძე - თავმჯდომარე
გოდერძი ასანიძე
თინათინ გელაშვილი
ფარნაოზ გოგოსაშვილი
ვახტანგ გოგუაძე
ივანე ვაშაყმაძე
ლუხუმ მირინაშვილი
რევაზ ცხადაია
რევაზ ჭეიშვილი

### Board:

Teimuraz Gogoberidze - Head of the Board
Goderdzi Asanidze
Revaz Cheishvili
Tinatin Gelashvili
Parnavaz Gogosashvili
Vakhtang Goguadze
Luxum Mirinashvili
Revaz Tskhadaia
Ivane Vashakmadze

### შუალედური მენეჯმენტი:

დათო დოლიძე - სოფლის განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი
ირაკლი ჯავახიშვილი - მარკეტინგის განყოფილების ხელმძღვანელი
ლელა ხარტიშვილი - პროექტის - ტურიზმის განვითარება სოფლად ხელმძღვანელი
მედეა გაბუნია - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

### Middle Managers

Dato Dolidze - Head of Rural Development Department
Irakli Javakhishvili - Head of Marketing Department
Lela Khartishvili - Rural Tourism Project Manager
Medea Gabunia - Head of Administration

## სათავო ოფისი:

ადმინისტრაცია
მედეა გაბუნია – ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
რუსუდან ნემსაძე – კანცელარიის თანამშრომელი
ლევან ახალმოსულიშვილი – სამეურნეო დარგის მუშაკი
გიორგი რუხაძე - სამეურნეო დარგის მუშაკი
კონსტანტინე დოლიძე – მთავარი ბუღალტერი
მიხეილ მახათაძე – ბუღალტერი

სამრჩევლო განყოფილება
გიორგი ბარისაშვილი – მევენახეობა-მეღვინეობის მრჩეველი
ნუკრი მემარნიშვილი – მებოსტნეობა-მემარცვლეობის მრჩეველი
ვახტანგ ღოღობერიძე – მეფუტკრეობის მრჩეველი
გოჩა წერეთელი – მეხილეობის მრჩეველი
რუსუდან ბარკალაია – მეცხოველეობის მრჩეველი

სათემო მობილიზებისა და სოფლის განვითარების განყოფილება
დათო დოლიძე – განყოფილების ხელმძღვანელი
ალექსანდრე ბაღდაძე – კონსულტანტი თემის მობილიზების საკითხებში

აგრობიომრავალფეროვნების დაცვის განყოფილება
ტაიულ ბერიშვილი – კონსულტანტი აგრარული მრავალფეროვნების საკითხებში

საზოგადოებრივი ურთიერთობების განყოფილება
მანანა გიგაური – განყოფილების თანამშრომელი
მანანა წულაია - განყოფილების თანამშრომელი
ელენე შატბერაშვილი - განყოფილების თანამშრომელი
ზაზა კილასონია - განყოფილების თანამშრომელი
ზურაბ კარბელაშვილი – ტრენინგცენტრის კოორდინატორი
თეა ცხადაია - ტრენინგცენტრის კოორდინატორის ასისტენტი

მარკეტინგის განყოფილება
ირაკლი ჯავახიშვილი – განყოფილების ხელმძღვანელი
ბიძინა ფერაძე - კონსულტანტი მარკეტინგის საკითხებში

პროექტი – ტურიზმის განვითარება სოფლად
ლელა ხარტიშვილი – პროექტის ხელმძღვანელი
ია ჯაყელი – ტურიზმის კონსულტანტი
ქეთევან კასრაშვილი – ტურიზმის კონსულტანტი

## რეგიონალური ოფისები:

ახალციხის რეგიონული ოფისი:
მურად გოგოლაძე – სამცხე-ჯავახეთის რეგიონის კოორდინატორი
თეა ჩიტაძე – ოფისმენეჯერი
მედეა ბარძიმაძე – ოფისმენეჯერის ასისტენტი

გურიის რეგიონული ოფისი:
ჯაბა ჭეიშვილი - კონსულტანტი რეგიონალურ საკითხებში
ლაშა ღლონტი - კონსულტანტი რეგიონალურ საკითხებში

მარნეულის რეგიონული ოფისი:
ირმა დავაძე - კონსულტანტი რეგიონალურ საკითხებში

## Head Office:

Administration
Medea Gabunia - Head of Administration
Rusudan Nemsadze - Administration Officer
Levan AKhlmosulishvili - Procurments Officer
George Rukhadze - Procurments Officer
Konstantine Dolidze - Chief Accountant
Mikheil Makhatadze - Accountant

Extension Service
George Barisashvili - Viticulture Consultant
Nukri Memarnishvili - Vegetable Growing Consultant
Vakhtang Gogoberidze - Bee-keeping Consultant
Gocha Tsereteli - Horticulture Consultant
Rusudan Barkalaia - Animal Husbandry Consultant

Community & Rural Development
Dato Dolidze - Head of Department
Aleksander Bagdadze - Consultant in Rural Development

Agricultural Biodiversity
Taiul Berishvili - Agrarian Diversity Consultant

Public Affairs
Manana Gigauri - Public Affairs Officer
Manana Tsulaia - Public Affairs Officer
Elene Shatberashvili - Public Affairs Officer
Bondo Alasania - Lawyer
Zaza Kilasonia - Public Affairs Officer
Zurab Karbelashvili - Coordinator of Training Centre
Tea Tskhadaia - Assistant

Marketing
Irakli Javakhishvili - Head of Department
Bidzina Peradze - Consultant in Marketing

Rural Tourism
Lela Khartishvili - Project Manager
Ia Jakeli - Consultant in Rural Tourism
Ketevan Kasrashvili - Consultant in Rural Tourism

## Regional Offices:

Akhaltsikhe Regional Office:
Murad Gogoladze - Program Coordinator in Samtske-Javakheti Region
Tea Chitadze - Office Manager
Medea Bardzimadze - Assistant

Guria Regional Office:
Jaba Cheishvili - Regional Consultant
Lasha Glonti - Regional Consultant

Marneuli Regional Office:
Irma Davadze - Regional Consultant

# პროგრამული საქმიანობა



2008 წლის პირველი ნახევარი „ელკანასთვის” მორიგი წარმატებების წელი იყო, მაგრამ აგვისტოს ცნობილი მოვლენები ასოციაციის საქმიანობაზეც აისახა - დაზარალდნენ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები „ელკანას” წევრებიც. დონორების ხელშეწყობით ჩვენმა ორგანიზაცი დაეხმარა თბილისში ჩამოსულ ლტოლვილებს, კერძოდ, პირველადი მოხმარების ნივთებითა და საკვებით ერთჯერადი დახმარება გაეწია 280 კაცს, ხოლო 130 ლტოლვილს (მათ შორის 67 ბავშვს) თითქმის ერთი თვის მანძილზე პერიოდულად ვეხმარებოდით საკვებით, მედიკამენტებითა და პირველადი მოხმარების საგნებით.

ამ მეტად მძიმე პერიოდში, მენეჯმენტისა და თანამშრომელთა ძალისხმევით, „ელკანამ” გააგრძელა საკუთარი მისიის შესრულება და 2008 წლის პროგრამით განსაზღვრული საქმიანობები დროულად და წარმატებით დაასრულა.

2008 წლის სექტემბერში დოქტორ სტეფან აკერმანმა (Social-Cert-GmbH, მიუნხენი, გერმანია) სამრჩევლო სამსახურისა და ტრენინგცენტრის ხარისხის მართვის სისტემის გეგმური აუდიტი ჩაატარა და დაადასტურა, რომ ორგანიზაციაში მოქმედებს და ვითარდება ხარისხის მართვის სისტემა. აუდიტის შედეგად, „ელკანას” პუბლიკაციებზე ხარისხის ნიშნის დადების უფლებაც მივიღეთ.

*მარიკა ყანდორელაშვილი*

ვცხოვრობ გორის რაიონის სოფელ სათემოში. „ელკანას” ძველი წევრი ვარ და ჩემი მეურნეობის წარმატებებში ამ ორგანიზაციამ დიდი როლი შეასრულა - მუდმივად ვიღებდი რჩევებს, კონსულტაციებს, პუბლიკაციებს. საკრედიტო ფონდის „ზიარის” ხელშეწყობითა და „ელკანას” მრჩევლების რჩევით გავაშენე ატმისა და ქლიავის ბაღები. მეც ვცდილობდი კარგი წევრობა გამეწია „ელკანასთვის” და ზედმიწევნით ვასრულებდი რეკომენდაციებს, დროულად ვფარავდი კრედიტს და სხვ.

აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების დროს, პრაქტიკულად მთელი სოფელი დაიცალა, მხოლოდ რამდენიმე მოხუცი დარჩა სოფელში. დანარჩენებმა თავი თბილისს შევაფარეთ. გამოგვიყვეს საცხოვრებელი ფართი ვაჟა-ფშაველაზე, უკვე გაუქმებულ ბაგა-ბაღის შენობაში. არც საწოლი გვქონდა, არც სკამი, არც წყალი მოდიოდა და არც ტუალეტი ფუნქციონირებდა. აღარაფერს ვამბობ საკვებზე. ერთი ღამე როგორღაც მოვთავსდით, დილით კი ვიფიქრე, მე ხომ თბილისში მყავს მეგობრები - „ელკანას” ოფისის თანამშრომლები, მივალ და დახმარებას ვთხოვ-მეთქი. დილაუთენია მივედი „ელკანას” ოფისში და მოვუყევი ჩემი გაჭირვების ამბავი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, „ელკანა” ყველაფერში დაგვეხმარა - არა მარტო ჩემს ოჯახს, არამედ ამ ბაგა-ბაღში მცხოვრებ 130 კაცს (მათგან 67 ბავშვი იყო): მოგვიტანეს სურსათი და პირველი მოხმარების საგნები, გაგვიკეთეს წყალი, მოგვიწესრიგეს ტუალეტი. ეს პირველივე დღეს გააკეთეს, ხოლო შემდეგ თითქმის ყოველდღე მოდიოდნენ და ხან სკამები მოჰქონდათ, ხან - ტანსაცმელი, ხან - წამლები. ასევე პერიოდულად სურსათსაც გვაწვდიდნენ. ამასობაში ჰუმანიტარული დახმარებაც მოგვარდა, მაგრამ „ელკანას” დახმარება მაინც სხვა იყო - წინასწარ გვეკითხებოდნენ, თუ რა გვჭირდებოდა, და მოჰქონდათ ყველაფერი მაღალი ხარისხის და იმდენი, რომ თანაბრად შეხვედროდა დიდსაც და პატარასაც. არ ავიწყდებოდათ ტკბილეულიც ბავშვებისთვის - მოგეხსენებათ, ბავშვს ყველაზე უფრო კამფეტი უხარია... აქვე მინდა ვთქვა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იყო მორალური მხარდაჭერა - მოვიდოდნენ, გაგვამხნევებდნენ, გამოიკითხავდნენ გასაჭირს და უსწრაფესად ცდილობდნენ ყველაფრის მოგვარებას. ყველას გვიხაროდა „ელკანას” თანამშრომლების მოსვლა.

როცა უკან სახლში დაბრუნების უფლება მოგვცეს, „ელკანას” თამნამშრომლებმა გვითხრეს, იქ, სოფელში, რომ ჩახვალთ, ვინ დაგახვედრებთ სურსათსო, და ერთი საბარგო მანქანა ბოსტნეული, ბურღულეული, თაფლი, შაქარი, კამფეტი და კიდევ უამრავი რამ გამოგვატანეს. როგორც შემდეგ გავიგეთ, თურმე ბოსტნეულის ნაწილი „ელაკანას” წევრებს, დმანისელ ფერმერებს უსასყიდლოდ გამოუგზავნიათ. ახლაც ცრემლი მადგება თვალზე, ამას რომ ვიხსენებ. სოფელში რომ ჩამოვედით, ეს პროდუქტი სხვებსაც გავუნაწილეთ, მე პირადად კიდევ ორ ოჯახს დავეხმარე...

ჩვენს სოფელში უკვე ყველამ იცის „ელკანას” ამბავი, ყველა მადლობელია და მე ძალზე მეამაყება, რომ ასეთი ორგანიზაციის წევრი ვარ. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო „ელკანას” ხელმძღვანელობას - ქალბატონ მარიამ ჯორჯაძეს, თამაზ დუნდუას და ყველა თანამშრომელს. ასევე მადლობას ვუხდი „ელკანას” დონორებს, რომლებმაც გამოყვეს თანხები ჩვენს დასახმარებლად...

ბოლოს მინდა ვთქვა, რომ მიუხედავად სიძნელეებისა, ჩვენს სოფელს გული არ გაუტეხია, ვაგრძელებთ მუშაობას და უკეთესი მომავლის იმედი გვაქვს. მართალია, წლევანდელი მოსავალი დაგვეკარგა, მაგრამ მთავარია, მშვიდობა იყოს და ჩვენ ისევ მოვიყვანთ ვაშლს, ატამს, ქლიავს და სამომავლოდ ხილის მცირე გადასამუშავებლის (ჩირის საშრობის) გამართვასაც ვფიქრობთ. იმედი გვაქვს, „ელკანა” ისევ გვერდით ამოგვიდგება და შეძლებისდაგვარად დაგვეხმარება...

# PROGRAM ACTIVITIES



The first half of 2008 was another successful year for Elkana; however, the tragic August events affected the association's activities as well – Elkana member farmers living in the conflict area suffered too. With the support of donors our organization rendered assistance to the internally displaced persons (IDPs) that had come to Tbilisi, in particular they were provided with living essentials and food. Single aid was rendered to 280 people; 130 IDPs (including 67 children) during almost a year were regularly provided by us with food, medications and essentials.

During this rather hard period, thanks to the efforts of the management and staff, Elkana continued to implement its mission, and the activities envisaged by the 2008 program were timely and successfully fulfilled.

In September 2008, Dr. Stefan Ackerman (representative of a certification company Social-Cert-GmbH, Munich, Germany) conducted a planned Quality Management System audit of the Extension Department and Training Unit and confirmed that a Quality Management System was operating and developing in the organization. As a result of the audit, Elkana has gained the right to designate its publication with the quality mark.

***Marika Kandorelashvili***

I live in the village of Satemo in Gori region. I am a long-standing member of Elkana and the organization has played a great role in the successes of my farm – I was regularly receiving its advices, consultations and publications. With the support of the credit foundation Ziari and advices of the Elkana consultants I have laid peach and plum gardens. I tried to be a good member of Elkana and exactly followed their recommendations, timely paid out credits, etc.

During the tragic August events, practically all the villagers left their homes, except for several old people who stayed in the village. The rest found a shelter in Tbilisi, in the building of one of the non-functioning kindergartens. We have neither a bed to sleep nor a chair to sit on; there was no water running, nor was WC functioning. I say nothing about food. Next morning I told myself: “You have friends in Tbilisi – Elkana office employees. Go and ask them for help”. So I went there and told them about my troubles. To make it short, Elkana helped us in everything – not only my family but all the 130 people living in that kindergarten (of which 67 were children). They brought us food and essentials, fixed the water system and the WC. All this was done on the very first day. Thereafter, they used to come almost everyday bringing with them chairs, clothes, drugs, and many other necessities. They also provided us with food. Meantime the humanitarian aid started to be supplied, but Elkana's assistance was still different – they asked us in advance what we needed and all what they were bringing was of high quality and in quantity that could be equally distributed among children and adults. They never forget to bring sweets for children. I must also mention their moral support that was very important in coping with our daily problems. All IDPs were happy to see Elkana people.

When, at last, we could go back home, Elkana employees, knowing than nobody would provide us with food in the deserted village, ensured that a truck loaded with vegetables, grouts, honey, sugar, sweets, and many other products accompanied us there. As I later learned, part of vegetables was supplied free of charge by Elkana member farmers from Dmanisi. The tears start to my eyes whenever I recollect those events. When we came to the village, the products were distributed among other villagers; I personally helped two more families....

Everybody knows about Elkana in our village now; everybody is grateful and I am much proud to be a member of such an organization. My best thanks to the Elkana management – Mrs. Mariam Jorjadze, Mr. Tamaz Dundua - and all its employees. I'd also like to thank Elkana's donors who allocated funds to help us...

Finally, I want to say that despite difficulties our village has not lost hope; we continue to work and look forward to better times. True, the harvest of this year has been lost, the main thing, however, is that there is peace and then we shall again yield apple, peach, and plum harvest; in future, we are going to arrange and run a small-size fruit processing plant (for production of dried fruits). We hope Elkana will be again with us, assisting as far as possible.

## ფერმერთა საჭიროებებზე ორიენტირებული სამრჩევლო მომსახურება

2008 წლის აპრილში, ორგანიზაციის საქმიანობის შიდა შეფასების ფარგლებში, ჩატარდა ფერმერთა გამოკითხვა. გამოიკითხა წევრი ფერმერების 30%. გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, რომ ახალი სამრჩევლო მიდგომა - დარგობრივი მომსახურება ბევრად ეფექტურია და გამოხატავს ფერმერთა საჭიროებებს. გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით დაიგეგმა სამრჩევლო განყოფილების შემდგომი მუშაობა.

ოზურგეთის, ახალციხისა და მარნეულის რეგიონული ოფისების მონაწილეობით, 2008 წელს სხვადასხვა დარგებში ჩატარდა 10 თემატური სემინარი, რომელთაც დაესწრო 223 ფერმერი როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოდან. ინდივიდუალური კონსულტაციები მიიღო 535 ფერმერმა, მომზადდა და დარიგდა 45 რჩევის ფურცელი;




2008 წელს 808 ფერმერმა მიიღო მონაწილეობა მრჩევლების მიერ ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებსა და საკონსულტაციო შეხვედრებში

In 2008, 808 farmers participated in various events and consultation meetings organized and held by the extension workers.





***იუზა გიგაშვილი***

სპეციალობით მანქანათმშენებელი ინჟინერი ვარ. დამთავრებული მაქვს ბაუმანის ინსტიტუტი მოსკოვში. საქართველოში ვმუშაობდი სავტომობილო ქარხანაში, შემდეგ საკუთარი ფირმა მქონდა, რუსეთიდან შემოგვქონდა მანქანის ნაწილები. როცა რუსეთთან ურთიერთობა გაფუჭდა და რკინას ცეცხლის ფასი დაედო, გადავწყვიტე ისეთი საქმისთვის მომეკიდა ხელი, რომელიც ყოველთვის საჭიროა - ასეთია ნატურალური პროდუქტის წარმოება.

ჩემი ყველა დანაზოგი ამ საქმეში ჩავდე. მამაპაპისეული სახლი მქონდა თერჯოლის რ-ნის სოფ. საფარეთში. გარშემო ტყეებია, სადაც ხალხი თავს აფარებდა, და ამიტომ დაერქვა ასე. ჰაერი და ბუნება, ხედავთ კიდეც, როგორია – სუფთა და ჯანსაღი. დავიწყე მეფუტკრეობა. ვიყიდე 80 ოჯახი და ჩავაბარე მეფუტკრეს, რომელიც მეუბნებოდა, ძალიან კარგად ვიცი ეს საქმეო. ყველაფრით ხელი შევუწყვე და მეგონა ავშენდებოდი, მაგრამ ნახევარი ფუტკარი გამიწყდა. ვისაც ჩავაბარე არ მოუარა ან არ იცოდა, როგორ მოევლო. ჩადებული ფული სულ წყალში ჩამეყარა.

გადავწვიტე, მე თვითონ მესწავლა მეფუტკრეობა. ბაუმანში მასწავლეს აზროვნება და წიგნთან მუშაობა. მთავარია, იცოდე, სად რა წერია და საკუთარ თავზე მუშაობა შეგეძლოს. ასე მასწავლეს და მეც მოვკიდე ხელი სწავლას. 80 სკიდან 24 დამრჩა და სანამ ვსწავლობდი, 12 ოჯახი კიდევ დამელუპა. ეს იყო 1992 წელს. წიგნების კითხვით რაღაცეები ვისწავლე და მერე სამეცნიერო ნაშრომებსაც გავეცანი. მეფუტკრეებთანაც დავდიოდი გამოცდილების მისაღებად და იმათ წვალებას რომ ვუყურებდი, კინაღამ თავი დავანებე ამ საქმეს. თაფლის ამოღებისას ფუტკარი ისე გადაირია, რომ სულ დაკბინა ყველა. ვიფიქრე, ამ საქმიდან არაფერი გამომივა-მეთქი. მერე გავიცანი თემურ ღოღობერიძე და მისგან ვისწავლე ბევრი რამ. ახლა მეგობრებიც ვართ. ჩამოვაყალიბეთ ასოციაცია. ისეთ კანონს ღებულობდა სახელმწიფო, რომ მეფუტკრეობა სულ განადგურდებოდა, ამის წინააღმდეგ ჩამოვაყალიბეთ ასოციაცია, რომელიც დღესაც აქტიურად მუშაობს. დასავლეთ საქართველოში ასოციაციას მე ვხელმძღვანელობ.

როცა მუშაობა დავიწყე, ერთ-ერთმა მეგობარმა იტალიაში გამაშვებინა თაფლი. მეგონა, მოეწონებოდათ, მაგრამ პასუხში მწერდნენ, რომ თქვენი თაფლი ალუმინის ჭურჭელშია ნადგომი, ახლოსაა ღია ტუალეტი, გზა და ა. შ. ისე გამოდიოდა, რომ ჩემი საამაყო თაფლი საწამლავი ყოფილა. გადავწყვიტე, ეკოლოგიური თაფლი გამეკეთებინა. მე თვითონ მოვიფიქრე საკვებურები, რომ ფუტკარი არ მივიდეს ტუალტის წყალზე და იქვე ჰქონდეს წყალი. ფიჭა თეთრი უნდა იყოს. ჭურჭელი ამოსანთლული.

„ელკანაში" სამომავლო პერსპექტივისთვის გავწევრიანდი. მრჩევლისგან ბევრი სიახლე გავიგე, რეგულარულად ვუზიარებთ ერთმანეთს გამოცდილებას. ჯერჯერობით არ მაქვს ისეთი საფუტკრე მე რომ მინდა, მაგრამ როცა მექნება, პირველი მიზანია ბიოსერტიფიკატის აღება. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. საერთაშორისო ბაზარზეც ვფიქრობთ გასვლას. სწორედ მაშინ გამომადგება „ელკანას" წევრობა. მოვა დრო, როცა პროდუქცია არ იქნება პრობლემა, პრობლემა იქნება ხარისხი და მაშინ „ელკანას" ნიშანს დიდი ფასი დაედება.

## Extension service targeted to farmers' needs

In April 2008, a survey of member farmers (30%) took place within an internal audit of the organization's activities. The survey has demonstrated that a new advisory/extension approach – branch-wise service is much more effective and reflects farmers' needs. Taking into account the survey results, further activities of the Extension Service were planned.

In 2008, with the participation of Ozurgeti, Akhaltsikhe and Marneuli regional offices, 10 different thematic workshops were conducted in various fields of agriculture which were attended by 223 farmers, both from western and eastern Georgia. 535 farmers received individual consultations, 45 extension information papers were prepared and delivered;







***Iuza Gigashvili***

I have graduated from Moscow Bauman Institute with a diploma of a mechanical engineer. First I worked in a motor-works in Georgia; then started to run my own company, engaging in imports of machine parts from Russia. When relations with Russia were terminated and iron price skyrocketed, I decided to start a business that would always be necessary, such as natural production.

All my capital I put into this business. I have a patrimonial house in the village of Sapareti, Terjola region. The place is amid forests with healthy and virtuous natural conditions. I started beekeeping and thought it would bring me a wealth. I bought 80 families and entrusted them to a beekeeper who assured me he was a beekeeping expert. I provided the beekeeper with all was needed for successful beekeeping, but half of the families perished. The beekeeper in charge failed to ensure good care or just could not do it properly. As a result, all my money was wasted.

Therefore, I decided to learn beekeeping myself. There, at the institute, they taught me to think and to work with books. The main thing is to know where to seek information and to be able to work at self-improvement. So they taught me and I got down to self-educating work. 24 out of 80 beehives were preserved and while I was making my first steps in beekeeping, another 12 families perished. It was in 1992. Books helped me get some knowledge which I was trying to deepen by reading relevant scientific articles. I also used to consult beekeepers and share their experience. When I saw how much work they had to spend, I almost quitted the business, especially after I had witnessed how bees went mad and started to bite everyone around when the beekeeper was harvesting honey. But then I met Temur Gogoberidze and learned much from him. Now we are friends. As the local laws were interfering rather than encouraging the development of beekeeping in the country together use founded an association for protecting and promoting beekeeping in Georgia. The association is still active, and the west Georgian association is being headed by me.

When I started the business, a friend of mine talked me into sending the honey to Italy. I though they would like it, but they wrote me that my honey had been stored in an aluminum vessel, that near was an outhouse, road, etc. It turned out that the admired by me honey was a poison. So I decided to produce organic honey.

I arranged that the bees had no contact with polluted water, that beekeeping tools and equipment would comply with organic standards.

For further development I became Elkana member. There I learned much interesting from the extension worker. We are sharing experience on a regular basis. As yet, I don't have the apiary I wish I had, but when I have it, my first goals will be obtaining of a organic certificate. It is of much importance. My future plans are to enter an international market. So the Elkana membership will be a great asset then. The time will come when the product's quality rather than quantity will be more important. Then the Elkana logo will be of much value.

მარნეულის რაიონის 2 ფერმერის მეურნეობაში განხორციელდა სამოდელო პროექტები: სოფელ იმირჭალაში ბოსტნეული კულტურების (სალათის, შავი ბოლოკის და 6 ჯიშის პომიდვრის) ბიოთესლის წარმოება და სოფელ ლომთაგორაში – ბაზოებზე მარცვლეულის თესვის ეფექტურობა.

წარმატებული მეურნეობების გაცნობისა და ფერმერთა შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩატარდა სამი „ფერმერის დღე“, რომელთაც დაესწრო 50 ფერმერი.

სამრჩევლო განყოფილება თანამშრომლობს ახალგაზრდა ფერმერთა სახლთან, რომელსაც საქართველოში შემოაქვს ვეტერინარული ბიოპრეპარატები და „ელკანას“ წევრებს საბითუმო ფასებში სთავაზობს. აღნიშნული ბიოპრეპარატებით უკვე სარგებლობენ სვანეთის ფერმერები.

სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტებთან თანამშრომლობა „ელკანას“ საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან გაფორმებული შეთანხმების ფარგლებში, „ელკანას“ მრჩევლის კონსულტაციით დაიგეგმა აგრარული უნივერსიტეტის სადემონსტრაციო ნაკვეთი; სამრჩევლო განყოფილებაში პრაქტიკა გაიარა უნივერსიტეტის მაგისტრატმა.

მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის სპეციალისტ ვაჟა გოცირიძესთან თანამშრომლობით სამრჩევლო განყოფილებამ ჩაატარა ექსპედიცია ზემო აჭარაში, რომლის მიზანი იყო რეგიონისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის ადგილობრივი ვაზის ჯიშების გამოვლენა და აღწერა.





დღეისათვის ჩემს საფუტკრეში 300-მდე სკა ფუტკარს ვუვლი, ვყიდი თაფლს, ფუტკრის რძესა და დედებს. პროდუქცია კარგია და გაყიდვის პრობლემა არ მაქვს. რაც შეეხება ბიოთაფლს, მე კარგად ვიცი სტანდარტის მოთხოვნები და ბევრი რამ უკვე მოვაგვარე ჩემს საფუტკრეში: ვცდილობ, საკვებურები გავუკეთო, რომ ფუტკარი მარილიან წყალზე არ მივიდეს. ვაროატოზის წინააღმდეგ წიწვოვნების და წიწაკის ნაყენებს ვიყენებ. თაფლს საიდანაც ვიღებთ, იქ არ ვაკარებ არავითარ ქიმიას. მაგრამ სოფელში ღია ტუალტების პრობლემას მე ვერ მოვაგვარებ.

ჩანაწერებს ვაკეთებ ყველაფერზე. საფუტკრეში უნდა იცოდე, რა ხდება, რომელ ოჯახს უჭირს, ვის რა დაავადება აწუხებს და ასე შემდეგ. თუ მეფუტკრეობას მისდევ, სელექციას უნდა ეწეოდე. ისე არაფერი გამოვა. წიგნებიდან ბევრ რამეს ისწავლი, მაგრამ ქართულ ფუტკარს თავისი სპეციფიკა აქვს და სასურველია ცდების ჩატარება. ვცდი სხვადასხვა საშუალებებს და ვიწერ შედეგებს. მერე ვეცნობი წინა წლების ჩანაწერებს და ვითვალისწინებ. თითოეულ სკას ნომერი აქვს და ჩანაწერებიც ამის მიხედვით კეთდება. შემდეგ წელს ამ ჩანაწერების მიხედვით, რომელ სკასაც უკეთესი შედეგი აქვს, იქედან გამომყავს დედა. ეს ეხება მეთოდებსაც. რომელი მეთოდიც უფრო ეფექტური, იმას ვაკეთებ შემდეგ წელსაც. ამას დაწვრილებითი ჩანაწერები სჭირდება, სხვანაირად არ გამოვა.

რაც ვისწავლე, ვცდილობ სხვებსაც ვასწავლო. ამბობენ, რომ მეფუტკრეები თავის „საიდუმლოს“ სხვას არ უმხელენო. არ არის სწორი, ვინც მალავს, ალბათ არც აქვს ცოდნა და რას გასცემს. თვეში ერთი დღე გამოყოფილი მაქვს მეფუტკრეებთან შესახვედრად. ქუთაისში ხარების ეკლესიაში, მამა კალისტრატემ გამოგვიყო დარბაზი და იქ ტარდება თვეში ერთხელ შეხვედრები.

დამწყებ მეფუტკრეებს მინდა ვუთხრა, რომ მეფუტკრეობა მძიმე სამუშაოა. ფუტკარი გრძნობს აურას, იმასაც გრძნობს, როგორი გულით მიხვალ. თუ დაიწყებ მეფუტკრეობას, ჯერ კარგად უნდა შეისწავლო ფუტკარი. ადრე, როცა გადაყვანისას ფუტკარი ძალიან გვკბენდა, ბევრი ვიფიქრე, და როცა სხვების გაკეთებული ყუთები არ გამომადგა, ჩემით დავიწყე ყუთების კეთება და სელექციასაც მისდევ – ჩემი ფუტკარი პრაქტიკულად არ იკბინება, მაშინაც კი, როცა თაფლი ამომაქვს. დამწყებმა მეფუტკრემ უნდა შეიძინოს კარგი ყუთი და იზრუნოს ფუტკარზე. ფუტკარი მეწყველი ძროხა არ არის, რომ რძე წაართვა და არაფერი მისცე. ჯერ უნდა შეიყვაროთ ეს საქმე და მერე ისწავლოთ. თუ არ იცით, ფუტკარს, სჯობია, არ მიეკაროთ.

თითოეულმა მეფუტკრემ უნდა იამაყოს საკუთარი პროდუქციით და პასუხი აგოს ხარისხზე. მაგრამ სახელის მოხვეჭა უფრო ძნელია, ვიდრე დაკარგვა. მინდა ვუთხრა ზოგიერთ მეფუტკრეს, 60 ლარს რომ იღებთ 3-კგ-იან ქილაში, 33-თეთრიანი ეტკეტიც რომ გაატანო, რა უჭირს.

საქართველო პატარა ქვეყანაა და მოფრთხილება უნდა ბუნებასაც და ერთმანეთსაც. თუ ერთი ადამიანი დაეხმარება მეორეს, ის კიდევ სხვას დაეხმარება და გვეშველება რაღაცა. ქართველები მაქსიმალისტები ვართ და ეს მაქსიმალიზმი კარგი საქმისათვის მივმართოთ.

Model projects were implemented in 2 farms of Marneuli region: production of organic seeds for vegetable crops (lettuce, black radish and 6 tomato varieties) in the village of Imirchala and the use of bed-planter in wheat production in the village of Lomtagora.

For the purpose of familiarization with successful farms and sharing experience among farmers, three Farmer Days were conducted involving 50 farmers.

The Extension Department cooperates with Young Farmers House that brings into Georgia veterinary preparations and offers them to Elkana member farmers at wholesale prices. Farmers in Svaneti are already making use of said preparations.

Collaboration with different research institutes is among priority directions of Elkana. Within the scope of an agreement made with the Georgian Agrarian University, a demonstration plot of the Agrarian University has been designed under recommendations of the Elkana consultant; a University master's degree seeker has undergone practical training in the Extension Department.

In cooperation with the expert of the Institute of Horticulture, Viniculture and Winemaking Vazha Gotsiridze, the Extension Department has conducted an expedition to Zemo Ajara, which purpose was the identification and description of local vine varieties being of strategic importance for the region.





By now there are up to 300 hives in my apiary. I sell honey, royal jelly and queen bees. The product is good and I have no problem to sell it. As concerns organic honey, I know well the standard requirements and have already done much in my apiary for the purpose: I try to arrange so that bees would not have access to salty water sources. To protect them from varroatosis, I employ pine and pepper tinctures. I use no chemicals. However, the problem of outhouses in the village I cannot settle alone.

I record all my beekeeping activities. You should know what happens in the apiary, which family needs care, which suffers from what disease, etc. If you are in beekeeping, you should practice breeding as well. Otherwise nothing will come out of it. One may learn much from literature, but the Georgian bee has its specifics and it is desirable for the beekeeper to experiment. I apply to various measures and get some results. Then I analyze the previous experience and use it in practical activity. Each hive has its number and records are made accordingly. Next year, based on such records, I will decide which hive is best for giving queens. The same holds true with regard to methods. The best method will be used in the future. All these data must be accurately recorded.

I always try to share the acquired skills and knowledge with others. They say that beekeepers never give out their professional secrets. It's not true. It seems that those who refuse to share their knowledge have just nothing to share. Once every month I meet with beekeepers. Father Kalistrate has allocated us a hall in Kutaisi Khareba monastery where monthly meetings of beekeepers take place.

I'd like to tell the beginning beekeepers that the beekeeping is a demanding occupation. The bee feels the aura and the beekeeper's attitude. Before starting beekeeping, one must study well the bee. Earlier, when transporting beehives from one place to another, the bees used to be biting. I analyzed the problem and decided to use the hives of my own design. I'm also engaged in breeding. Now, my bees practically do not bite, even when I'm extracting the honey. The novice beekeeper should use quality hives and care for the bees. The bee is not just a milking cow. The successful beekeeping requires love and knowledge. Unless one has these qualities, better not to start.

Every beekeeper must be proud of its product and be responsible for its quality. To gain a reputation is hard and to lose it is so easy. I'd like to advise some beekeepers, 'when you sell a 3kg honey can for 60 lari, think of providing it with a 33-tetri worth label.'

Georgia is a small country and its inhabitants ought to care for its nature and for one another. By helping one another we'll be able to cope with many problems. We, Georgians, are maximalists, and let us direct this maximalism at doing good deeds.

## საქართველოში ბიოპროდუქციის ბაზრის ჩამოყალიბებაზე ზრუნვა



2008 წელს „ელკანას'' ერთ-ერთ პრიორიტეტად ისევ რჩება ხელი შეეწყოს ბიოპროდუქციის გადამუშავება-რეალიზაციასა და ფერმერობის შემოსავლის მომტან საქმიანობად გადაქცევას. ამ მიმართულებით ნაყოფიერად იმუშავეს სამრჩევლო და მარკეტინგის განყოფილებებმა. ჩატარდა სემინარები, ჯგუფური და ინდივიდუალური შეხვედრები (სულ 84 შეხვედრა) საწარმოს დაგეგმვის, ბიზნესგეგმების შემუშავების, კოოპერირებისა და მარკეტინგის საკითხებზე, რომელთაც დაესწრო 250-მდე ფერმერი (მათ შორის 50 ქალი). მარკეტინგის განყოფილების დახმარებით სრულად დამუშავდა 8 საწარმოს ბიზნესგეგმა. შედეგად, 2008 წელს ფინანსირება მიიღო 3 საწარმომ, დანარჩენს შეტანილი აქვს განაცხადი და ელოდება დონორის გადაწყვეტილებას. ფუქციონირება დაიწყო ახალმა სამეწარმეო ჯგუფმა: მარნეულის რაიონის ს. თამარისში ჩამოყალიბდა ბიოსოკოს მწარმოებელთა ჯგუფი შპს „ბიო-ორგანიკ ჯორჯია''. ჯგუფში გაერთიანებულია 7 ფერმერი და დასაქმებულია 15-20 კაცი. 2008 წლიდან შპს „ნუგბარი'' „ელკანას'' წევრი გახდა და მისი პროდუქცია – 4 სახეობის საკონსერვო ნაწარმი „ბეღელის'' მეშვეობით ბაზარზე გავიდა.

მარკეტინგის განყოფილებისა და შპს „ბეღელის'' ერთობლივი ძალისხმევით შეიქმნა და ბაზარზე გავიდა 2 ახალი პროდუქტი: მზესუმზირას ზეთი, და ჩაი ახალი დაფასოებით. „შეკვეთების მაგიდის'' მეშვეობით 2008 წელს რეგულარულად იყიდებოდა 14 სახეობის პროდუქტი - 2 სახეობის თაფლი, 2 სახეობის ჩაი, 6 სახეობის ღვინო, 4 სახეობის საკონსერვო ნაწარმი; პერიოდულად იყიდებოდა, აგრეთვე, 4 სახეობის ბოსტნეული და 2 სახეობის ყველი.

2008 წლის ბოლოს „ბეღელის'' ვებ-გვერდზე შეიქმნა ინტერნეტმაღაზია, რომლის მეშვეობით 2009 წლიდან შესაძლებელი იქნება „ელკანას'' წევრთა პროდუქციის შეკვეთა-შეძენა.



*გივი ასანიძე*

2008 წელს შპს „ნუგბარი'', რომლის გენერალური დირექტორიც მე გახლავართ, „ელკანას'' წევრი გახდა. ამ გადაწყვეტილების მიღებას თავისი ისტორია აქვს: შპს „ნუგბარი'' მცირე მოცულობის საკონსერვო ქარხანაა, რომელსაც წელიწადში დაახლოებით მილიონამდე ქილა დაკონსერვებული პროდუქციის გამოშვება შეუძლია. ამ სექტორში კონკურენცია დიდია და ჩვენი ქარხანა „გიგანტებს'' კონკურენციას ნამდვილად ვერ გაუწევს. ამაში დავრწმუნდი ბაზრის შესწავლის შემდეგ და გადავწყვიტე ისეთი სეგმენტის არჩევა, რომელიც პერსპექტიულიცაა და თანაც ჯერ ნაკლებადაა ათვისებული. სწორედ ასეთ სეგმენტად მეჩვენება ბიოკონსერვის წარმოება. ამიტომ გავწევრიანდი „ელკანაში''. თანაც მარნეულის რეგიონში უკვე არიან „ელკანას'' წევრი ფერმერები, რომლებსაც მოჰყავთ ბიობოსტნეული და, ვფიქრობ, კარგი იქნება ადგილზე გადამუშავებაც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვაპირებთ ამ პროდუქციის უცხოეთში გატანას და, ჩვენი აზრით, ბიოკონსერვს უკეთ გავიტანთ. „ელკანას'' წევრობამ უდაოდ ხელი შეგვიწყო საქმიანობაში. ჯერ ერთი, მივიღეთ სასარგებლო რჩევები, დავუკავშირდით „ელკანას'' წევრ ფერმერებს, რომელთა მეურნეობაში განხორციელდა ბიოთესლის მოდელი და მათგან შეძენილი პროდუქციით დავამზადეთ 4 ტიპის დაკონსერვებული პროდუქტი: კიტრისა და პომიდვრის მარინადი, პომიდვრის პიურე და ყვავილოვანი კომბოსტოს მარინადი. „ელკანა'' დაგვეხმარა ამ პროდუქციის პოპულარიზაციის საქმეშიც – გამოფენა-გაყიდვებზე მომხმარებელს რამდენიმეჯერ წარვუდგინეთ პროდუქცია და, როგორც ვიცი, ეს პროდუქტები მოწონებით სარგებლობს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ელკანამ'' თავისი ლოგოს გამოყენების უფლებაც მოგვცა. მთლიანად, 2008 წელს დამზადებული პროდუქციის 10% „ელკანას'' ხელშეწყობით გაიყიდა. რაც შეეხება ბიოსერტიფიკატს, ჩვენი ძირითად მომწოდებლებს ხელშეკრულება აქვთ გაფორმებული სერტიფიცირების ორგანო „კავკასსერტთან'' და მათი ფართობები (მთლიანად 20 ჰა) უკვე კონსერსიაზეა და 2010 წლის მოსავალი, სავარაუდოდ, სერტიფიცირებული იქნება, როგორც ბიოპროდუქტი. შესაბამისად ჩვენც ამ დროისათვის გამოვუშვებთ სერტიფიცირებულ ბიოკონსერვს. უნდა აღვნიშნო, რომ „ელკანა'' მოგვეხმარა მილენიუმში წარსადგენი პროექტის მომზადებაში და გაგვიწია რეკომენდაციაც. ჩემი აზრით, „ელკანას'' იმიჯმა თავისი საქმე გააკეთა და პროექტი დაგვიფინანსეს. ამ პროექტის ფარგლებში ჩვენმა საწარმომ მიიღო დამატებითი მანქანა-დანადგარები: შემფუთავი, მარკირების აპარატი, სადისტრიბუციო მანქანა, პროდუქციის მიმღები დანადგარი და სხვ. მომავალი წლისთვის ვგეგმავთ ასორტიმენტის გაზრდას - მარინადების გარდა, ვაპირებთ მურაბების, ჯემების, საწებლების დამზადებას. იმედი გვაქვს, „ელკანა'' მომავალშიც მხარში დაგვიდგება და ჩვენი თანამშრომლობა სასარგებლო შედეგებს გამოიღებს - გაიზრდება წევრი ფერმერებისა და ჩვენი შემოსავალი, ხოლო მომხმარებელი ხარისხიან პროდუქციას მიიღებს.

## Organic market promotion in Georgia



In 2008, the processing and marketing of organic products and the encouragement of making it a profitable business for Georgian farmers were again among the priority directions of Elkana. The extension and marketing departments had worked productively in this direction. Workshops, group and individual meetings (84 in total) were held on such matters as production planning, working out of business plans, cooperation and marketing which were attended by up to 250 farmers (including 50 women). With the assistance of the Marketing Department, business plans of 8 enterprises were worked-out. As a result, 3 enterprises were financed in 2008; others applied for funding are awaiting the donor's decision. A new entrepreneurial group started to function: an organic mushroom production group Bio-organic Georgia Ltd was established and got to business in the village of Tamarisi, Marneuli region. The group incorporates 7 farmers and employs 15-20 people. In 2008, Nugbari Ltd joined Elkana as a member and its products – 4 types of canned products – entered the market with the aid of Begeli Ltd.

Thanks to the joint efforts of the Marketing Department and Begeli Ltd., 2 new products were created and entered the market in new packaging: sunflower oil and tea.

In 2008, through the box delivery scheme 14 kinds of products – 2 kinds of honey, 2 kinds of tea, 6 kinds of wine, and 4 kinds of canned products – were regularly sold; periodically were also sold 4 kinds of vegetables and 2 kinds of cheese.

In the late 2008, an internet-shop was created on the website of Begeli Ltd., through which, beginning from 2009, it will be possible to order and buy products of Elkana member fermers.



***Givi Asanidze***

In 2008, Nugbari Ltd., a company that I have the honor to direct, became a member of Elkana. This decision-taking has its history: Nugbari Ltd is a small-scale cannery capable of producing about a million cans of canned products per annum. Competition in this sector is great and our small cannery cannot actually rival 'giants'. This I understood after having analyzed the local market situation. So, I decided to choose a sector which is both promising and less developed. The production of canned organic products appeared to me exactly such. That was the very reason for my becoming the Elkana member, given also the fact that there, in Marneuli region, are farmers involved in organic farming that could be processed on site. Another circumstance to be taken into account is that we intend to export our products and, as we believe, organic products will have better export prospects.

The membership in Elkana has really benefited our activities. First, we received valuable information, got in touch with Elkana member farmers, on whose farms the organic seed production model had been implemented and whose farm products we used to make 4 kinds of canned products: cucumber and tomato pickles, tomato puree and cauliflower pickles. Elkana has also assisted us in promoting these products – our products were several times presented at exhibitions and sales and, as I know, they met with the consumer's approval. Also important is that Elkana has authorized us to use its logo. It can be said that in 2008 ten percent of our total output was sold thanks to the assistance of Elkana.

As regards the organic certificate, our main suppliers have made an agreement with the certifying agency Caucascert and their land areas (20 ha in total) are already under conversion and the 2010 harvest will probably be certified as organic. Accordingly, by that time we shall also be producing certified canned products. It should be mentioned that Elkana helped us in the drafting of a project for presentation to Millennium and recommended us before this organization. I believe that the reputation of Elkana had done its part and the project was funded. Within the framework of this project, our enterprise additionally received necessary equipment and machinery: packaging machine, labeling machine/marker, distribution vehicle, products receiving equipment, etc.

Our next year's plan envisage the widening of the range of products – in addition to pickles, we intend to produce preserves, jams and relishes. We hope Elkana will continue to assist us and our collaboration will bring forth valuable results – revenues of the member farmers and of us will increase while the consumer will receive quality products.

## საქართველოს აგრარული მრავალფეროვნების აღდგენა და მდგრადი გამოყენება



2004 წლიდან, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) დაფინანსებითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) საქართველოს ოფისის ხელშეწყობით, სამცხე-ჯავახეთში ხორციელდება პროექტი - „საქართველოს აგრობიომრავალფე-როვნების აღდგენა, კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება". პროექტის მიზანია ადგილობრივი კულტურებისა და მათი ჯიშების აღდგენა ფერმერულ მეურნეობებში და მათი ფართო გამოყენების ხელშეწყობა.

2008 წლისათვის სახეზეა მნიშვნელოვანი შედეგები: სამცხე-ჯავახეთში, სოფელ წნისში საცდელ-სადემონსტ-რაციო ნაკვეთზე რეგულარულად ითესება და მრავლდება, მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურების, ხეხილისა და ვაზის ადგილობრივი ჯიშები. სათესლე და სარგავი მასალა ხელმისაწვდომია ფერმერებისათვის – 152 ფერმერი თესავს მარცვლოვან და პარკოსან კულტურებს (ხორბალი დიკა, ახალციხის წითელი დოლი, ქერშველი, ჭვავი, ფეტვი; ცულისპირა, მუხუდო, ცერცვი, ოსპი, ძაძა, სელი). პროექტის ფარგლებში წარმატებით ფუნქციონირებს პარკოსნების მწარმოებელთა სამი ჯგუფი: ორი ჯგუფი სოფელ წნისში, მათ მოჰყავთ პარკოსანი კულტურები, და ერთი - სოფელ ურაველში. აღნიშნულ ჯგუფს მოჰყავს სელი და პარკოსანი კულტურები. ჯავახეთში ფუნქცი-ონირებს ხორბლის მწარმოებელთა ორი ჯგუფი.

2008 წელს მაქსიმალურად დარიგდა სათესლე მასალა და ძველი ქართული კულტურების მიმართ ინტერესი იზრდება. თესლი გავრცელდა საქართველოს 4 რეგიონში: კახეთში, ქვემო ქართლში, იმერეთსა და რაჭაში.

წნისის ნაკვეთი კონსერვაციაზე დგას და 2008 წელს კავკასსერტმა ჩაატარდა გეგმური ინსპექცია, რაც შემდგომში შესაძლებელს გახდის სათესლე მასალის _ როგორც ორგანული თესლის გავრცელებას.

ბოლო პერიოდში წნისის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთი პოპულარული გახდა – აქ სტუმრად მოდიან ტურისტებიც და ჩვენი პარტნიორი ორგანიზაციებიც.

პროექტის ერთ-ერთი კომპონენტია სამკურნალო მცენარეებისა და სამიზნე კულტურების ველური მონათესავე სახეობების შესწავლა. ამ მიმართულებით კვლევებს ატარებს საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი". კვლევების შედეგად დღის წესრიგში დადგა იშვიათი მცენარის - ტიგრანის დიდგულას დაცვის საკითხი. „ელკანას" შუამდგომლობით, გარემოს დაცვის სამინისტრომ ადგილობრივ მმართველობას დაავალა სათანადო ზომები მიიღონ ამ მცენარის კონსერვა-ციისათვის.



*იულია დარბაიძე*

განათლებით პედაგოგი ვარ, ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი. ვმუშაობ მარნეულის რესურსცენტრში მეთოდისტად, მაგრამ სოფელში (მარნეულის რ-ნის სოფელი საიმერლო, ყოფილი ორჯონიკიძე) ვცხოვრობ და სოფლის მეურნეობასაც მივდევ. „ელკანას" საქმიანობით დიდი ხანია დავინტერესდი, თუმცა ოფიციალურად მხოლოდ 2008 წელს გავწევრიანდი. მანამდე რეგულარულად ვესწრებოდი სემინარებსა და შეხვედრებს. მარნეულში „ელკანას" ოფისი რომ გაიხსნა, მეტი ინფორმაცია მივიღე, ძალიან დამაინტერესა პარკოსნებმა - ჩამოიტანეს ლამაზად შეფუთული, ჩემთვის უცნობი პროდუქტები და ბატონმა ტაიულ ბერიშვილმა ბევრი საინტერესო რამ მოგვითხრო. მომეწონა და გადავწყვიტე დამეთესა: ავიღე ძაძა, მუხუდო, ცულისპირა, ოსპი. ფართობი მცირე მაქვს (1500 მ), მაგრამ ცოტ-ცოტა ყველაფერი დავთესე. განსაკუთრებით მომეწონა ძაძა. მოვიყვანე, ოჯახშიც მოვიხმარე, „ბეღელსაც" ჩავაბარე და, თქვენ წარმოიდგინეთ, ადგილობრივ ბაზარზეც გავყიდე. დავრწმუნდი, რომ ძაძა მართლაც სჯობია ლობიოს. დღემდე მომყავს ძაძა და ოჯახში ვამზადებ სუფს, შეჭამანდს, ფლავს. ძაძას თესლი მეზობლებსაც ვუწილადე და 3-4 კაცი უკვე თესავს, ისინი სხვებს მისცემენ და ასე გავრცელდება საინტერესო კულტურა. სხვა პარკოსნებმა ჩვენთან არ გაამართლა, თუმცა შესაძლოა, მე ვერ მოვუარე, ეგებ მორწყვა დავაკელი. საერთოდ, ჩვენში ძალზე ჭირს სარწყავი წყალი და „ელკანამ" დიდი საქმე გაგვიკეთა - სარწყავი დაგვამონტაჟებინა. ჩვენ მარტო ამ საქმეს ვერ მოვერეოდით. გაგანია გვალვებში ჩავრთავთ და წყალი გვაქვს. გადახდის საქმეც კარგადაა მოგვარებული - ვინც რამდენ ხანს ჩართავს, იმდენს იხდის. საერთოდ, ინტერესიანი ადამიანი ვარ და „ელკანას" ადგილობრივი ოფისი ბევრ სიახლეს გვაცნობს - ამასწინათ მეთხილეობაზე სემინარი ტარდებოდა და წამყვანს (გოჩა წერეთელს) ვეკამათე თხილის მოსავლიანობაზე; როცა ამიხსნა, მივხვდი, თურმე არასწორად ვუვლიდი თხილის ბუჩქს. მოვუსმინე მრჩეველს, ბევრი რამ ვისწავლე, მათ შორის თხილის გასხვლაც. ადგილობრივი ოფისის საშუალებით მივიღე კომბოსტოს, შავი ბოლოკის, პომიდვრის თესლები. მაინტერესებს მეცხოველეობის საკითხები და როცა სემინარი იქნება, აუცილებლად დავესწრები.

## Conservation and Sustainable Utilization of the Georgia`s Agricultural Biodiversity

Since 2004, with the financial support of the Global Environment Facility (GEF) and the country office of the United Nations Development Programme (UNDP), a project “Recovery, Conservation and Sustainable Use of Agrobiodiversity of Georgia” has been implementing in Samtskhe-Javakheti. The project is aimed at restoration of local crops and their varieties and their wide use in farms.

Important results are on hand by 2008: on a demonstration plot in the village of Tsnisi, Samtskhe-Javakheti, local varieties of cereals and legumes, fruit and vine are regularly sown and cultivated. The seed and planting material is available to farmers – 152 farmers are engaged in the growing of cereal and leguminous crops (wheat dika, Akhaltsikhe Tsiteli Doli, qersheveli - naked barley, rye, millet, grass pea, chickpea, faba bean, lentil, cowpea, flax). Within the framework of the project, three legume producing groups are actively functioning - 2 in the village of Tsnisi, being engaged in the cultivation of pulses and 1 in the village of Uraveli, engaging in the cultivation of flax and pulses. Another 2 farmer groups cultivate wheat in Samtskhe-Javakheti.

In 2008 the seed material was maximally delivered and the interest in old Georgian crops is increasing. Seeds were disseminated in 4 regions of Georgia: Kakheti, Kvemo Kartli, Imereti and Racha.
Tsnisi plot is on conversion into organic and in 2008 Caucascert conducted a planned audit. This will make it possible to disseminate the seed material as organic in the future.



Lately the Tsnisi demonstration plot has become popular and is being visited by both tourists and our partner organizations.

Studying medicinal plants and crop wild relatives is one of the components of the project. Research in this direction is carried out by the Georgian Society of Nature Explorers ORCHIS. As a result of research, on the agenda is now the problem of conservation of the rare plant - Sambucus tigranii. Through the mediation of Elkana, the Ministry of Environment charged the local administration to take appropriate measures for conserving the plant.

***Julia Darbaidze***

By education I am a teacher of the Georgian language and literature. I work at the Marneurli Resource centre as a methodologist but live in the village of Saimerlo, former Orjonikidze, Marneuli region, and engage in farming. I've long been interested in the activities of Elkana, although only in 2008 joined it as a formal member. Before that I used to regularly attend workshops and meeting held by the association. After Elkana has opened its office in Marneuli, I have the possibility of getting more information. I became much interested in legumes. They brought the nicely packed and unknown to me before products and Mr. Taiul Berishvili told us much interesting about these crops. I liked the idea and decided to cultivate legumes. My farming land is rather small (1500 m), and I sowed in small quantities such legumes as cowpea, chickpea, grass pea, lentil. Best of all I liked the cowpea. Its harvest was so good that I managed to use it at home, deliver to Begeli, and even sell on the local market. Now I'm convinced that cowpea really outperforms haricot beans by its valuable properties. I continue to grow the crop and widely use it in domestic cooking. I also delivered the cowpea seeds to my neighbors and 3-4 families are now cultivating the crop; they will give it to others, and this interesting crop will be thus propagated in the village.

Other legumes turned out to be less successful on my plot. Perhaps it's because I failed to grow them properly; perhaps they needed more water. In general, the irrigation water is deficit here. Elkana has greatly helped us in the arrangement of a pumping station. We alone could not cope with it. Now droughts are no longer a problem. The matter of payment for water has also been settled – the water charge is being fixed for the amount consumed.

On the whole, I'm an inquisitive person and learn much in the local office of Elkana. Some days ago, at a workshop on horticulture held there I started a dispute with the lecturer (Gocha Tsereteli) on the productivity of hazelnuts; from his explanations I understood that I didn't tend hazelnut bushes properly. The extension worker taught me much on cultivation practices, including hazelnut pruning. Through the local office I received cabbage, black radish and tomato seeds. The matters of animal husbandry also interest me, and when an appropriate workshop is held, I'll necessarily attend it.

# თემის ჩამოყალიბებისა და გააქტიურების ხელშეწყობა სოფლად

წევრი ბიოფერმერებით მჭიდროდ დასახლებულ სოფლებში ,,ელკანა'' მუშაობს სათემო მობილიზების საკითხებზეც. ჩვენი მიზანია, ამ სოფლების მოსახლეობის იმგვარად გააქტიურება, რომ შეძლოს საკუთარი პრობლემების გარშემო მობილიზება და ამ პრობლემების დამოუკიდებლად მოგვარება. მუშაობის პროცესი მოიცავს, ერთი მხრივ, სოფლად მდგრადი ჯგუფების შექმნას აქტიური ადამიანებისაგან, რომლებსაც აქვთ შესაბამისი უნარ-ჩვევები და, მეორე მხრივ, თუ სოფელი შეძლებს გაერთიანებას, ,,ელკანა'', მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში, ეხმარება მას კონკრეტული პრობლემის მოგვარებაში.

ამ საკითხებზე მუშაობს ,,ელკანას'' სათემო მობილიზებისა და სოფლის განვითარების განყოფილება, რომლის მონაწილეობით 2008 წელს განხორციელდა 3 პროექტი:

**საჭაპნო და საცალფეხო ხიდის გადება და წისქვილის ამუშავება (ჩოხატაურის რ-ნი, სოფლები: ხევი, ბჟოლიეთი)**

პროექტის ღირებულება: 35942,92 ლარი (სოფლის წილი – 14899,92 ლარი, ,,ელკანას'' წილი – 13926 ლარი, თანადაფინანსება – 7117 ლარი)

შედეგი: სოფლები და სახნავ-სათესი ერთმანეთთს დაუკავშირდა.. 3 სოფელი სარგებლობს წისქვილით. პროექტის შედეგებით სარგებლობს 150 კომლი.

**წყალი სიცოცხლეა (სასმელი წყლის შეყვანა ციხისფერდის უბანში ) ოზურგეთი, სოფ. ლიხაური**

პროექტის ღირებულება: 13 485,75 ლარი (სოფლის წილი – 6 985,75 ლარი, ,,ელკანას'' წილი – 6 500 ლარი,

შედეგი: 12 ფერმერმა მიიღეო სასმელი წყალი, რომელიც გამოიყენება საკამიდამო ნაკვეთების მოსაარწყავადაც.

**ენთელის უბნის გასარწყავება, ახალციხე, სოფ. ურაველი**

პროექტის ღირებულება: 12 145 ლარი (სოფლის წილი – 7 145 ლარი, ,,ელკანას'' წილი – 5 000 ლარი,

შედეგი: 70 ჰექტარი მიწა მოირწყვება, 120 კომლი ისარგებლებს. 5 კაცი ჩაერთო აგრობიომრავალ-ფეროვნებაში.








*ლერი ციცაგი*

ვცხოვრობ გორის რაიონის სოფელ ახალუბანში. ჩვენი სოფელი კონფლიქტურ ზონაშია - ერთ კმ-ში უკვე ოსებისა და რუსების საგუშაგოებია განლაგებული. მძიმე პირობებში გვიწევს ცხოვრება და მუშაობა; ასეთი ,,მეზობლობა'' ბევრ პრობლემას გვიქმნის, ჩვენი სოფლის ინფრასტრუქტურა ,,მიბმული'' იყო იმ ტერიტორიებს, რომელთაც დღეს საქართველოს მთავრობა ვერ აკონტროლებს. ადრე სასმელ და სარწყავ წყალს სწორედ ამ ტერიტორიებიდან ვიღებდით. კარგა ხანია, ახალუბანი ამ სასმელ წყალს ვეღარ იღებს. სოფელი ძირითადად ჭაბურღილის წყალს იყენებდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მილები დაძველდა, წყლის ნაწილი გზაში იკარგებოდა და ბინძურ□დებოდა, გახშირდა ინფექციური დაავადებები. ამ საკითხის მოგვარებაში ,,ელკანა'' დაგვეხმარა - სოფლის განვითარების ჯგუფის ხელშეწყობით თითქმის მთელი სოფელი გამოვიდა სამუშაოდ და გამოიცვალა ძველი მილები. დღეს სოფელი წყალს უდანაკარგოდ იღებს, მაგრამ ზამთარში მაინც ჭირს წყალი: სისტემა იყინება, დენი ყოველთვის არ არის და ზოგჯერ სოფელში არა მარტო ადამიანები, საქონელიც კი უწყლოდ რჩება. აგვისტოს ცნობილი მოვლენების დროს, და შემდეგაც, ჩვენი სოფელი ძალზე დაზარალდა – დავკარგეთ საძოვრები, მოსახლეობა პრაქტიკულად მოსავლის გარეშე დარჩა, ისევ დღის წესრიგში დადგა სასმელი წყალი - უსახსროდ დარჩენილი სოფლელებისთვის ჭაბურღილის წყლის მოხმარება (დენის გადასახადი) ძვირი სიამოვნებაა. ამ გასაჭირში ისევ ,,ელკანა'' დაგვიდგა გვერდით. როგორც ვიცი, ,,ელკანას'' თხოვნით დონორებმა გამოყვეს გარკვეული თანხა ჩვენს რეგიონში მცხოვრები ,,ელკანას'' წევრების დასახმარებლად. სოფელში ჩამოვიდა სოფლის განვითარების ჯგუფი, ესაუბრნენ მოსახლეობას, გამოიკითხეს საჭიროებები და გადაწყდა, რომ სოფლის ახლოს მდებარე წყაროდან გამოგვეყვანა წყალი, რომელიც დამოკიდებული არ იქნებოდა დენზე. სამუშაოები დაწყებულია და მალე სასმელი წყალი ზამთარ-ზაფხულ შეუფერხებლად გვექნება. ამ წყლით ისარგებლებს სოფლის 240 კომლი. მადლობა მინდა გადავუხადო ,,ელკანას'' მთელი სოფლის სახელით - მათი დამსახურებაა, რომ გვაქვს სასმელი წყალი, მათივე ხელშეწყობით სოფელში შემოვიყვანეთ ბუნებრივი გაზი და იმედია, მომავალშიც ბევრ სასარგებლო საქმეს ერთად გავაკეთებთ.

## Community mobilization and development of self-help processes in rural areas

Elkana is also working on the issues of community mobilization in the villages densely populated by member farmers. Our goal is to activate the villagers so that they are able to mobilize around their problems and settle them independently. The work process encompasses the formation in villages of stable groups of active people having the appropriate skills and knowledge on the one hand and, if the village manages to unite, to support them in handling specific problems within a program of small grants, on the other hand.

These problems are dealt by the Community Mobilization and Rural Development Department of Elkana, with the participation of which the 3 following projects were implemented in 2008:

**1. Construction of a foot bridge and putting into operation of a mill (Chokhatauri region, villages: Khevi, Bzholieti)**

Project Value: GEL 35,942.92 (village share – GEL 14899.92i, Elkana share – GEL 13,926, co-financing – GEL 7,117)
Outcome: Villages and arable lands have been interconnected; 3 villages make use of the mill. Projects results are enjoyed by 150 households.

**2. Water is Life (Drinking Water Supply to Tsikhisperdi Area - Ozurgeti region, village Likhauri)**

Project Value: GEL 13, 485.75 (village share – GEL 6, 985.75, Elkana share – GEL 6, 500
Outcome: 12 households are supplied with drinking water that is used for watering their kitchen gardens as well.

**3. Irrigation of Enteli Area (Akhaltsikhe region, village Uraveli)**

Project Value: GEL 12 ,145 (village share – GEL 7,145, Elkana share – GEL 5, 000
Outcome: 70 ha land of 120 households will be irrigated; 5 farmers have been engaged in agrobiodiversity project.





***Leri Tsitsagi***

I live in the village of Akhalubani of Gori region. Our village is in the conflict zone, in a kilometer distance from Ossetian and Russian frontier posts. We have to live and work under hard conditions. Such 'neighbors' involve a lot of problems. Our village's infrastructure had been 'tied' to the territories that are no longer controlled by the Georgian authorities.

Earlier we used to be supplied with drinking and irrigation water from these territories. For a long time now Akhalgori has been cut off from the water supply sources. The village used generally well water, but eventually the piping system deteriorated; water losses increased and the water itself became polluted giving rise to the spread of infectious diseases. Elkana assisted us in coping with the problem – with the support of the Rural Development Group almost all the village went out to work for replacing the old piping. Now the village gets water without losses. In the wintertime, however, the water supply problems still arise. The piping system is being frozen up; frequent are also power cuts; people and animals stay without water.

During the known August events and thereafter our village was greatly damaged – we lost the pastureland and the annual harvest; the water supply became a problem again. The use of well water for the villagers having remained without any income is rather expensive (electricity bills). Elkana once again gave us a helping hand. As I know, it was at Elkana's request that donors allocated definite funds for assisting the Elkana member farmers living in our region. The Rural Development Group arrived at the village; they spoke with the population, learned their needs and it was decided that the water was to be supplied from the nearby water spring, which would not be dependent on electricity. The work has begun and soon the villagers will be able to have an interrupted supply of drinking water all the year round. 240 households will be users of the water.
I'd like to thank Elkana on behalf of the whole village – it is thanks to their efforts that we have access to drinking water and natural gas. We hope that our cooperation will continue and bring forth many benefits.

## სოფლის ტურიზმის განვითარება და ადგილობრივი ტრადიციული პროდუქტების წარმოების ხელშეწყობა

2006 წლის ივნისიდან, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს ხელშეწყობით, „ელკანა" ახორციელებს პროექტს - „ტურიზმის განვითარება სოფლად". პროექტის მიზანია სოფლის მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება სოფლის ტურიზმის განვითარებისა და ტრადიციული პროდუქტების წარმოების ხელშეწყობის გზით.

2008 წელს პროექტის საქმიანობა ძირითადად მიმართული იყო შერჩეული სახლების სრულყოფისაკენ, ინფრასტრუქტურის, მომსახურების გაუმჯობესებასა და საოჯახო სასტუმრო სახლების სტანდარტიზაციაზე. შემუშავდა ახალი მარშრუტები, პროექტის ფარგლებში ჩატარდა ახალი მარშრუტებისა და საოჯახო სასტუმროების გასაცნობი ტურები. "ელკანა" გამოფენებში და სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობისას რეკლამირებას უწევდა საქართველოს რეგიონებში აგროტურიზმისა და ტრადიციული პროდუქტის განვითარებას.

2008 წელს პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი:

- შემუშავდა და დარეგისტრირდა „ელკანას" სტანდარტი: „საოჯახო სასტუმრო სახლები სოფლად და პატარა ქალაქებში", რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა სოფლად და პატარა ქალაქების საოჯახო სასტუმრო სახლების კატეგორიზაცია და შესაბამისად ხარისხის ნიშნის მინიჭება. (კატეგორია „სტანდარტი", „1 მზე", „2 მზე" ან „3 მზე");
- 4 საოჯახო სასტუმრომ გაიარა სერტიფიცირება და მიიღო შესაბამისი კატეგორია;
- ასოციაცია „ელკანასა" და CHF-ის თანამშრომლობით საქართველოს რამდენიმე რეგიონში - კახეთში, სამცხე-ჯავახეთში, გურიასა და ზემო აჭარაში საოჯახო სასტუმრო სახლებისა და ტურისტულად საინტერესო ობიექტებისათვის დამონტაჟდა 59 საგზაო ნიშნული და 35 სახლის აბრა;
- 2008 წლისთვის სტუმრის მისაღებად მზადაა 50 სახლი: 23 - სამცხე-ჯავახეთში, 5 - გურიაში, 2 - იმერეთში, 5 - რაჭაში, 1 -თუშეთში, 12 - კახეთში, 2 - ზემო აჭარაში;
- პროექტის ფარგლებში შემუშავდა სასტუმრო სახლების რეზერვაციის სისტემა;





### მარინა აგოშაშვილი



საოჯახო სასტუმროს უკვე 6-7 წელია ვამუშავებ. მანამდე ვმუშაობდი ღვინის ქარხანაში, ეკონომისტად. შემდეგ სამსახური დავკარგე და ცხოვრებაც გაჭირდა. შემთხვევით მესტუმრნენ უცხოელები – ბიძაშვილმა დამირეკა, ავსტრიელი სტუმრები მყავს და იქნებ ღამე გაათევინოო. სახლი კი მქონდა დიდი და ახლად გარემონტებული. რა თქმა უნდა, მივიღე სტუმრები, ანაზღაურებაზე საუბარი არ იყო – ჩვენებურად, ქართულად ვუმასპინძლეთ და წასვლისას გვირჩიეს, იქნებ სასტუმრო სახლი გააკეთოთ, ბევრი უცხოელი ჩამოდის ახალციხეში და ღამის გათევა პრობლემააო. შემდეგ საერთაშორისო ორგანიზაცია „ქეა" ეძებდა ახალციხეში საოფისე ფართს, დაათვალიერეს ჩვენი სახლი, ძალიან მოეწონათ; მართალია, თვითონ არ იქირავეს, მაგრამ როცა წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის ფედერაციას დასჭირდა ოთახები, რეკომენდაცია გაგვიწიეს. იმ პერიოდში ზედა სართულზე ცხელი წყალი არ გვქონდა, მაგრამ ფედერაციამ წინასწარ გადაგვიხადა თანხა და ყველაფერი გავაკეთეთ. შემდეგ „მერსი კორპს" დასჭირდა ოფისი და ისინიც ჩვენთან იყვნენ.

2007 წელს დავესწარი ახალციხეში „ელკანას" მიერ ორგანიზებულ ტურიზმის ტრენინგს. ბევრი რამ ვისწავლე ტრენინგზე და „ელკანას" ბროშურებიდანაც, განსაკუთრებით ხშირად ვიყენებ კვების ბროშურას - სამაგიდო წიგნად მაქვს. როცა სტუმარს ველოდები, წინასწარ ვარკვევ რომელი ქვეყნიდანაა, და, როგორც თქვენი ბროშურა გვასწავლის, ვცდილობ საკვები და მომსახურება სტუმრისთვის მოსაწონი შევარჩიო.

ტრენინგის შემდეგ ბაკურიანში წაგვიყვანეს და იქაური სასტუმრო სახლებიც დაგვათვალიერებინეს. იქიდანაც გადმოვიღე რაღაცეები. 2008 წლიდან სასტუმრო სახლი გავაფართოვე და მარტიდან წლის ბოლომდე 50 სტუმარი მარტო „ელკანასგან" მივიღე. ძალიან მომემატა სტუმრები „ელკანას" ხელშეწყობით. ახალციხის მახლობლად, სოფელშიც მაქვს სახლი მიწის ფართობით და იქაც ვაპირებ სასტუმრო სახლის გაკეთებას. მანამდე კი სოფელში ჩემს ნაკვეთზე მოყვანილი კარტოფილით, ბოსტნეულითა და ხილით ვუმასპინძლდები სტუმრებს.

## Rural tourism development and valorization of local traditional food production

Since June 2006, with the support of the Swiss Agency for Development and Co-operation, Elkana has been implementing a Tourism and Rural Development Project. The project envisages the improving of the living conditions of the rural population by promoting rural tourism and local traditional productions.

